



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 027/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა კიკნაძე (სტუდენტი)

ფაქტები

2009 წელს საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან მიიღო დაპირება, რომ იგი გაუწევდა იურიდიულ მომსახურებას - დაიცავდა მის ინტერესებს და დავას წარმატებით დაასრულებდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ადვოკატს გადაუხადა გარკვეული რაოდენობის თანხა, მათ შორის ორდერისა და მომსახურებისთვის 300-300 ლარი, ასევე იგი ფარავდა საქმესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს. მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი აუდიტორიული დასკვნის საპირწონედ, ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ იქნა სახელმწიფო სამშენებლო ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც სადავო სახლის სარემონტო სამუშაოებისთვის გაწეული თანხა წარმოადგენდა 6536,6 ლარს. შემდგომში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორს სწორედ მითითებული თანხის გადახდა დაევალა. ადვოკატის დარიგებით, მან გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მოწინააღმდეგე მხარემ სააპელაციო საჩივრის განხილვისას ჩაატარა მეორე სრული კერძო აუდიტორული ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც სარემონტო სამუშაოებისთვის დაიხარჯა 15 432 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო სასამართლოებშიც წააგო აღნიშნული დავა და მას დაეკისრა 15 432 ლარის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ. იგი ამ ყველაფერში თავის ადვოკატს ადანაშაულებს, ვინაიდან ენდობოდა მას და ყველა ქმედებას ადვოკატის რჩევით ახორციელებდა. საჩივრის ავტორი ადვოკატისგან მოითხოვს უძრავი ქონების დაბრუნებას და ზიანის ანაზღაურებას 15 432 ლარისა და 3000 ლარის ოდენობით. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორსა და მას შორის მართლაც დაიდო საადვოკატო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ჰონორარს წარმოადგენდა 350 ლარი. აღნიშნული თანხა საჩივრის ავტორმა შეიტანა მის საბანკო ანგარიშზე. როგორც ადვოკატმა განაცხადა, მასსა და საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა კიდევ ერთი ხელშეკრულება, ამჯერად საქმე ეხებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნული ხელშეკრულებით ადვოკატის ჰონორარი გახლდათ 350 ლარი, რომელიც ადვოკატის საბანკო ანგარიშზე იქნა შეტანილი. მისი განცხადებით, საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო ხარჯებს, მათ შორის ბაჟისა და ექსპერტიზის თანხებს განკარგავდა თვითონ კლიენტი და მას ამ თანხებთან შეხება არც ჰქონია. ასევე, არ მიუღია რაიმე დამატებითი თანხა თავისი კლიენტისგან, გარდა ზემოთ აღნიშნული ჰონორარებისა. სიცრუეს წარმოადგენს საჩივრის ავტორის აპელირება იმის შესახებ, რომ ადვოკატი მას მოცემული საქმის მოგებით დასრულებას დაჰპირდა. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ყველა საპროცესო მოქმედებას და სასამართლო სხდომას კლიენტის თანხლებით ესწრებოდა. სწორედ კლიენტი წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებ პირს ამ საქმეში. ადვოკატმა მოგვაწოდა ფაქტები იმის შესახებ, რომ რაიონულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა არ იყო სრული, რადგანაც კლიენტი ხელს უშლიდა აუდიტს აუდიტორული შემოწმების ჩატარებაში. ამასთან ერთად, საჩივრის ავტორის ინიციატივას წარმოადგენდა თავად ჩაეტარებინა ექსპერტიზა. ის ფაქტიც არ წარმოადგენს სიმართლეს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ აუდიტორული დასკვნა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა, იგი წარდგენილ იქნა რაიონული სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კლიენტმა სააპელაციო საჩივარი საკუთარი სურვილითა და ხელით დაწერა; საჩივრის ავტორი ესწრებოდა ყველა სხდომას. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა, იგი საჩივრის ავტორს ადვოკატის პროფესიული ეთიკის ყველა ნორმის დაცვით

¹ გადაწყვეტილება 027/12, თარიღი 01.03.2012, <https://gba.ge/pdf/5c52a1a71c8f2.pdf/5c52a1a71c8f2.pdf>

ემსახურებოდა. კლიენტის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, რადგან მისთვის ადვოკატს ზიანი არ მიუყენებია. ადვოკატი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ წელიწადნახევრის შემდეგ კლიენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა შანტაჟს და მას ადვოკატისთვის ზემოთ აღნიშნული ჰონორარის გარდა არაფერი გადაუხდია, განსაკუთრებით კი 3000 ლარი.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების სტანდარტებით. კომისიის განცხადებით, კეთილსინდისიერების პრინციპი მოიცავს ადვოკატის მხრიდან ყველა იმ კანონიერი და ეთიკური საშუალების გამოყენებას, რომელიც მიმართული იქნება მისი კლიენტის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისკენ. ასევე ადვოკატის მოვალეობას წარმოადგენს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით გაუწიოს დახმარება და მიმართოს ყველა ზომას მისი ღირსეულად დაცვისა და წარდგენისთვის. კომისიამ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე განმარტა, რომ ადვოკატმა ხელშეკრულებით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები განახორციელა, კერძოდ, ადვოკატმა მცხეთის რაიონულ სასამართლოში კლიენტის ინტერესების დასაცავად წარადგინა შეგებებული სარჩელი, კლიენტს კონსულტაცია გაუწია და სასამართლოში ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა. მან სააპელაციო სასამართლოში წარადგინა სააპელაციო შესაგებელი, როგორც რაიონულ, ასევე სააპელაციო სასამართლოების პროცესებზე უზრუნველყო საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა, ამასთან ერთად, მან წარადგინა საკასაციო საჩივარიც. კომისიის განცხადებით, კლიენტის მიერ საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა აპრიორი არ მეტყველებს იმაზე, რომ მისმა ადვოკატმა არაკვალიფიციურად განახორციელა თავისი წარმომადგენლობა. ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, ტაქტიკის, სამართლებრივი რჩევისა და დახმარების არსებითი სამართლებრივი შეფასება. უნდა აღინიშნოს ისიც, თუ ადვოკატი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებს და ამისთვის არ არსებობს საპატიო მიზეზი, რაც შეიძლება ზიანს აყენებდეს კლიენტის ინტერესებს. თუმცა, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტის კერძო ავტონომიაზე დამოკიდებული თუ რომელ ადვოკატზე გააკეთებს არჩევანს და შემდგომში, მიიღებს თუ არა იგი მხედველობაში ადვოკატის კვალიფიციურ რჩევას. საჩივრის ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა მას საქმის წარმატებით დასრულების გარანტია მისცა, რადგანაც საჩივრის ავტორის განცხადება არ იქნა დადასტურებული მტკიცებულებით, რათა შექმნილიყო დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საქმის მოგებით დასრულების თაობაზე დაპირების მიცემის შესახებ, აგრეთვე, ადვოკატის ქმედებები სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უზრუნველყოფდა მისი კლიენტის დაცვას. საჩივრის ავტორის მოთხოვნის გადაწყვეტა წაგებით მიღებული ზიანის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ შედის ეთიკის კომისიის უწყებრივად დაქვემდებარებულ დავებში, ამისთვის საჩივრის ავტორმა უნდა მიმართოს სასამართლოს. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება მიიჩნია ეთიკურად, იგი კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად ახორციელებდა თავის ვალდებულებებს.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა.